საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/57

ქ. ბათუმი 28 ივნისი, 2021 წ.

ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურად იაკინთე ჩხარტიშვილის შერჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-40 მუხლის, ბსუ-ს აკადმეიური საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის N06-01/42 დადგენილების, 2021 წლის 25 ივნისის N06-01/55 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმის და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის №1 (28.06.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის №06-01/42 დადგენილებით გამოცხადებული და 2021 წლის 28 ივნისს ჩატარებული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევი ფარული კენჭისყრის შედეგად ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურად შერჩეული იქნეს **იაკინთე ჩხარტიშვილი** (11-წევრიანი შემადგენლობის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 28 ივნისის სხდომაზე/არჩევნებში მონაწილე აკადემიური საბჭოს 10 წევრის ხმით).

2. წარმომადგენლობით საბჭოს ეთხოვოს განიხილოს აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების საკითხი.

3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ-ს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**